# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №220

## 2012 წლის 18 ივნისი

## ქ. თბილისი

## ამონარიდი

## საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა

1. ამ მუხლის მიზანია ხელი შეუწყოს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას ან/და საშუალება მისცეს საბჭოს, მოახდინოს რეაგირება ინტერესთა კონფლიქტის ფაქტებზე, თუ მათი თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

2. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საბჭოს წევრს უფლება არ აქვს:

ა) საბჭოს მიზნების წინააღმდეგ გამოიყენოს საბჭოს წევრის სტატუსით მიღებული ინფორმაცია;

ბ) საბჭოს წევრის სტატუსი გამოიყენოს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ზეგავლენას ახდენს სხვა ორგანიზაციაზე, რომელშიც მას იმავდროულად უკავია თანამდებობა ან იმყოფება შრომით ურთიერთობებში ანდა დაინტერესებული მხარე მისი ახლო ნათესავია;

გ) იმოქმედოს ანგარებით საბჭოს წევრის სტატუსით ხმის მიცემის ან ხმის მიცემისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

3. საბჭოს სხდომაზე, კენჭისყრის დაწყებამდე, საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია შეავსოს ინტერესთა დეკლარირების ფორმა (დანართის მიხედვით). სხვა სუბიექტები ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში ინტერესთა დეკლარირების ფორმის შევსებას ახდენენ იმ მომენტში, როდესაც მათ მიმართ ინტერესთა კონფლიქტის გარემოება წარმოიშობა. აღნიშნული ფორმები განიხილება საბჭოს თავმჯდომარის მიერ და ინახება საბჭოს სამდივნოში შემდგომი საჭიროებისათვის.

4. საბჭოს წევრს აქვს უფლება, თავად წამოჭრას განხილვისათვის საკითხი სხვა წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, თუ აღნიშნული გარემოება უფრო ადრე არ იყო გაცხადებული. ამ შემთხვევაში საბჭოს წევრი ვალდებულია პირველად მიმართოს საბჭოს თავმჯდომარეს.

5. საბჭოს საქმიანობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ უნდა ფინანსდებოდეს საბჭოს საქმიანობისას მიღებული გადაწყვეტილებებით დაინტერესებული მხარეების მიერ.

6. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის/არარსებობის შესახებ ცალკეული სუბიექტის მიმართ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო დებულებით დადგენილი წესით. გადაწყვეტილების მიღების პროცესს არ ესწრება პირი, რომლის მიმართაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა განიხილება. საბჭოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში სუბიექტს, რომლის მიმართაც ინტერესთა კონფლიქტი განიხილება, შეუძლია ახსნა-განმარტებები მიაწოდოს საბჭოს.

7. საბჭოს წევრის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში:

ა) წინასწარი დეკლარირების და საბჭოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის დადასტურებისას – მას უწყდება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრამდე;

ბ) თუ მისთვის ცნობილი იყო გარემოება ან ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სუბიექტს, ინტერესთა კონფლიქტში აყენებდა და ამის შესახებ წინასწარ დეკლარირება არ მოახდინა, ხოლო საბჭომ დაადგინა და დაადასტურა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა – მას უწყდება წევრის უფლებამოსილება.

8. საბჭოს აქვს უფლება, მოახდინოს ან/და მოითხოვოს იმ გადაწყვეტილებების, მოქმედებებისა და შედეგების ანულირება, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის პირობებში იქნა მიღებული.

9. თუ საბჭომ დადგენილი წესით ინტერესთა კონფლიქტის არსებობა უარყო ან დაადგინა, რომ ის გავლენას ვერ მოახდენს საბჭოს მუშაობაზე, სუბიექტი დაუყოვნებლივ უბრუნდება სამუშაო პროცესს და განაგრძობს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას.

10. სუბიექტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ წარმოებული განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს აღწერილი და რეგისტრირებული სამდივნოს მიერ შესაბამისი ოქმით.

*დანართი*

**საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო**

**ინტერესთა დეკლარირების ფორმა**

**შევსების თარიღი:**
**სახელი/გვარი:**
**ორგანიზაცია:**
**პოზიცია საკოორდინაციო საბჭოში:**
**მე, ______________________________, საკოორდინაციო საბჭოს დებულების „ინტერესთა კონფლიქტის და მისი თავიდან აცილების“ ნაწილთან მიმართებაში ვაცხადებ შემდეგს:**

1. ყურადღებით გავეცანი საკოორდინაციო საბჭოს დებულების მე-4 მუხლს ინტერესთა კონფლიქტის და მისი თავიდან აცილების შესახებ;
2. თანხმობას ვაცხადებ, დავიცვა მასში მოცემული პრინციპები და მოთხოვნები;
3. ვაცნობიერებ ვალდებულებას, წინასწარ, წერილობით ვაცნობო საკოორდინაციო საბჭოს ნებისმიერი არსებული ან პოტენციური გარემოების შესახებ, რომელიც შესაძლოა იწვევდეს ინტერესთა კონფლიქტს ან აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, ჩემი საკოორდინაციო საბჭოში მუშაობისას;
4. მე ვეთანხმები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ქვემოთ მოცემული დეკლარაციული დებულებებიდან ერთ-ერთს, რომელიც, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხელმოწერის მომენტისათვის შეესაბამება სიმართლეს:

☐ **არა:** ჩემი მონაწილეობით საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიქმნება, არ არსებობს რაიმე საფუძველი ან გარემოება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საკოორდინაციო საბჭოს დებულების მე-4 მუხლთან;

☐ **დიახ:** ჩემი მონაწილეობით საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში იქმნება ინტერესთა კონფლიქტი, ან იქმნება გარემოება, რომელიც შესაძლოა, აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ:

____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________
____________________________________________________________________________

ხელმოწერა: ______________________________

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მართვის სახელმძღვანელო

ამონარიდი

თარგმანი ინგლისურიდან

დანართი 1: ინტერესთა კონფლიქტი (მოიცავს პოლიტიკასა და ფორმებს)

საბჭო აღიარებს, რომ ინტერესთა კონფლიქტმა - ფაქტობრივმა, პოტენციურმა თუ სავარაუდომ - შეიძლება შეამციროს საზოგადოების ნდობა საბჭოს, როგორც უწყების მიმართ და პოტენციურად შეაფერხოს პროგრამების განხორციელება. ინტერესთა კონფლიქტის მართვის ძლიერი და ჯეროვნად განხორციელებული პოლიტიკა ხელს უწყობს საბჭოს და მისი პროცესების კეთილსაიმედობის უზრუნველყოფას და ეხმარება საუკეთესო განზრახვით მომქმედი პირების დაცვას, რომელთა ინტერესები, ან იმ დაწესებულებების ინტერესები, რომლებთანაც ისინი აფილირებულნი, ან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან შეიძლება დარღვეულ იქნას.

წინამდებარე მართვის სახელმძღვანელოს და საბჭოს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტი შემდეგი სახით განისაზღვრება:

როდესაც საბჭოს ან მისი კომიტეტების წევრი საკუთარ სტატუსს იყენებს პირადი ამბიციების ან ინტერესების, იმ დაწესებულების ინტერესების სასარგებლოდ, რომლის აფილირებულ ან ახლოდ დაკავშირებულ პირს წარმოადგენს, იმგვარად, რომ სხვებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს ან გამორიცხავს მათ, ან სხვაგვარად აზარალებს გლობალური ფონდის პროგრამების საერთო ეფექტურობას. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს ფინანსური ან სხვა ხასიათის. ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს პოტენციურ და სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც ჯეროვნად უნდა იქნას აღმოფხვრილი პროგრამების კომპრომეტირების გამორიცხვის მიზნით.

საბჭოს მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული უნდა იქნას ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება საბჭოს ყველა წევრზე, ყველა ფუნქციაზე, მათ შორის ყველა ქვეკომიტეტზე.

საბჭოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა ძალაში უნდა იყოს გლობალური ფონდის გრანტების მოქმედების ვადების განმავლობაში და გლობალურ ფონდს, მისი მოთხოვნისამებრ, უნდა წარედგინოს მისი მოქმედების დოკუმენტირებული მტკიცებულება.

ამ პოლიტიკაში:

- მითითებული უნდა იქნას, რომ საბჭოს წევრებმა პერიოდულად უნდა განაცხადონ მათ მიმართ ან სხვა სუბიექტის მიმართ წარმოქმნილ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.
- მითითებული და აღწერილი უნდა იქნას იმის დოკუმენტირების პროცესი, რომ წევრები არ მიიღებენ მონაწილეობას დისკუსიებსა და განხილვებში, თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი მიმღების ან ქვე-კონტრაქტორის ზედამხედველობასთან და მათ შერჩევასა თუ დაფინანსებასთან.

საბჭოს სხდომების ოქმებში უნდა ცხადყოფდეს, საბჭოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკაში განსაზღვრულ პროცედურების დაცვას, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის,

მართვის და შემცირების მიზნით.

ინტერესთა კონფლიქტი გადაწყვეტის პოლიტიკა საქართველო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთვის

**I.** განმარტებები

1. ინტერესთა კონფლიქტი: როდესაც ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ან მისი კომიტეტების წევრი თავის პოზიციას იყენებს პირადი ამბიციების ან ინტერესების, ან იმ დაწესებულებების ინტერესების დასაცავად, რომელთანაც იგი აფილირებულია ან ახლო მოკავშირის ინტერესებისთვის, იმგვარად რომ არახელსაყრელ პირობებში აყენებს, ან შესაძლებლობებს ართმევს სხვა პირებს, ან სხვაგვარად ზიანის მომტანია გლობალური ფონდის პროგრამების ზოგადი ეფექტურობისთვის. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს ფინანსური ან სხვა სახის. ინტერესთა კონფლიქტის სახეებში შედის: ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი და გარემოება, რომელიც აღიქმება ინტერესთა კონფლიქტად, რომელზეც უნდა მოხდეს სათანადო რეაგირება აღნიშნული პროგრამების კომპრომეტირების თავიდან აცილების მიზნით.
2. ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს და/ან მისი კომიტეტების წევრს შეუძლია თავისი პოზიცია გამოიყენოს იმგვარად, რომ შესაძლოა წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი.
3. გარემოება, რომელიც აღიქმება ინტერესთა კონფლიქტად წარმოიქმნება, როდესაც პირს გონივრული საფუძველი აქვს ჩათვალოს ან ჰქონდეს ეჭვი, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი (როგორც ზემოთ არის აღწერილი) ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს და/ან მისი კომიტეტების წევრის მხრიდან.
4. პირის ახლო მოკავშირე ნიშნავს ოჯახის წევრს, მეგობარს, ბიზნეს პარტნიორს, პროფესიულ მოკავშირეს ან პირის ახლო მოკავშირეს.
5. პირი აფილირებულია ინსტიტუტთან, როდესაც ის არის თანამშრომელი ან მოხალისე ან აქვს ფინანსური ინტერესი ან ტექნიკური ან ხელმძღვანელი როლი აღნიშნულ ინსტიტუტში.
6. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა იმ საკითხზე, რომელთან დაკავშირებით ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აქვს გადაწყვეტილებების მიღების ან რეკომენდაციების გაცემის უფლება ან უფლებამოსილება.
7. მატერიალური ინტერესების არსებობა მოიცავს და არა მხოლოდ ნებისმიერ ერთ ან მეტ ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმას:
   ა) იმ ორგანიზაციის ან ინსტიტუტის შტატში მყოფ თანამშრომელს ან წევრად ყოფნა, რომელიც არის ძირითადი მიმღები, ქვე-კონტრაქტორი ან განმახორციელებელი პარტნიორი, რომელიც ფინანსდება საქართველოში მიმდინარე გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში ან რომელიც არის პოტენციური მიმღები, დაფინანსების განაცხადის ფარგლებში.

ბ) არის ხელშეკრულების მხარე, ან პირდაპირ მონაწილეობს გარიგებაში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთვის ან გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული საქართველოში მოქმედი პროგრამის უწყებისა თუ ორგანიზაციისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებას.

გ) აქვს მატერიალური ფინანსური ინტერესი (მაგალითად არის მფლობელი, აქციონერი ან თანამშრომელი) იმ უწყებაში, რომელიც მონაწილეობს იმ ხელშეკრულებაში ან გარიგებაში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთვის ან საქართველოში გლობალური ფონდის პროგრამით დაფინანსებული უწყებისა ან ორგანიზაციისთვის საქონლის და მომსახურების მიწოდებას.

**II.** მიზანი

8. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო აღიარებს, რომ არსებულმა, პოტენციურმა ინტერესთა კონფლიქტმა ან გარემოებამ, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა ნდობა დაუკარგოს საზოგადოებას ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსადმი, როგორც ინსტიტუტისადმი. ასეთმა ინტერესთა კონფლიქტებმა ანალოგიურად შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ პროგრამებზე, რომელსაც ზედამხედველობას უწევს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, და ინსტიტუტებზე, რომლებიც პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებაზე. ინტერესთა კონფლიქტების მართვის ძლიერი და ჯეროვნად განხორციელებული პოლიტიკა ხელს უწყობს საბჭოს და მისი პროცესების კეთილსაიმედობის უზრუნველყოფას და ეხმარება საუკეთესო განზრახვით მომქმედი პირების დაცვას, რომელთა ინტერესები, ან იმ დაწესებულებების ინტერესები, რომლეთანაც ისინი აფილირებულნი, ან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან შეიძლება დარღვეულ იქნას.

9. აქედან გამომდინარე წინამდებარე ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა მომზადებულია შემდეგი მიზნით:

ა) ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამართლიანობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის და საზოგადოებაში ნდობისა და რწმენის უზრუნველყოფა.

გ) ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლების და ყველა წევრი ორგანიზაციის რეპუტაციისა და ერთიანობის დაცვა.

**III.** ინტერესთა სავალდებულო დეკლარირება

10. ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირება უნდა იყოს დღის წესრიგის მუდმივი საკითხი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ყველა სხდომაზე.

11. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრს მოეთხოვება განაცხადოს ნებისმიერი არსებული ან პოტენციური მატერიალური ინტერესის ან მატერიალურ ინტერესად აღქმული ფაქტის შესახებ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენილ საკითხთან მიმართებაში.

12. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირება უნდა მოახდინოს შემდეგნაირად:

ა) ყოველწლიურად შეავსოს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმაში მითითებული ინფორმაცია არსებითად შეიცვლება, წევრი ვალდებულია განაცხადოს ასეთი ცვლილებების შესახებ და განაახლოს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა.

ბ) ზეპირად ან ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების ფორმის მეშვეობით წერილობითი სახით აცნობოს, სხდომის დღის წესრიგის მიღების შემდეგ, არსებითი ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე წარდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

გ) ზეპირი შეტყობინებით აცნობოს თავმჯდომარეს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დაწყებისას, სხდომის დღის წესრიგის ოფიციალურად მიღებამდე.

დ) ზეპირი შეტყობინების მეშვეობით, იმ შემთხვევაში თუ სხდომის მსვლელობისას წარმოიქმნა მატერიალური ინტერესთა კონფლიქტი.

13. ინტერესთა ყველა ზეპირი თუ წერილობითი დეკლარირება უნდა ჩაითვალოს მკაცრად კონფიდენციალურად, მისი დეკლარირებისთანავე.

14. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო ვალდებულია რეგულარულად და თანმიმდევრულად განახორციელოს წინამდებარე პოლიტიკის მონიტორინგი და უზრუნველყოს მისი დაცვა ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების გადახედვის და სხვა საჭირო ზომების მიღების გზით.

15. თუ დადგინდება, რომ ინტერესთა კონფლიქტი მუდმივად არსებობს წევრთან მიმართებაში, - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ უნდა განსაზღვროს ასეთი კონფლიქტის შემცირების გზები ან რეკომენდაცია მისცეს დამსახელებელ სექტორს, არ დაუშვას წევრი არცერთ შემდგომ სხდომაზე.

**IV.** ინტერესთა კონფლიქტის დადგენის და გადაწყვეტის პროცედურა.

16. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა დეკლარირება მოხდება ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის წინ, სამდივნომ უნდა მოახდინოს დეკლარაციის რეგისტრაცია სხდომის დაწყებისას, დღის წესრიგის მუდმივი საკითხის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის გაცხადებას.

17. წევრებმა ინტერესთა ნებისმიერი კონფლიქტის შესახებ უნდა განაცხადონ მაშინ, როდესაც სხდომა დაიწყება და მიაღწევს დღის წესრიგის აღნიშნულ საკითხს.

18. ინტერესთა დეკლარირების შემდეგ, საკითხის განხილვა უნდა განხორციელდეს შემდეგანირად:

ა) თავმჯდომარემ უნდა მოთხოვოს წევრს დატოვოს სხდომის დარბაზი, სანამ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო განიხილავს აღნიშნულ განცხადებას და დაადგენს არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი. როდესაც მიიღება გადაწყვეტილება და სათანადოდ ჩაიწერება ოქმში, წევრი უნდა მოიხმონ, რათა დაბრუნდეს და მოისმინოს განხილვის შედეგი.

ბ) თუ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო დაადგენს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, წევრი ვალდებულია შეასრულოს ქვემოთ, სექცია 19-ში განსაზღვრული პროცედურა.

გ) თუ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო გადაწყვეტს, რომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, სხდომა უნდა გაგრძელდეს ჩვეულებრივი წესით.

19. ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის შესაბამისი საშუალებების განხილვისას, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) ნებაყოფლობითი უარი (თვითაცილება): წევრი ნებაყოფლობით ტოვებს სხდომის დარბაზს, კომიტეტის მიერ იმ საკითხის განხილვისას, რომლის მიმართებაშიც ფიქსირდება ინტერესთა კონფლიქტი განხილვის დასრულებამდე და აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ბ) პირობითი მონაწილეობა კომიტეტის სხდომაზე: თავმჯდომარე ნებას რთავს წევრს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში, მაგრამ განაცხადოს თავისი ინტერესის შესახებ განსახილველ საკითხზე. ეს უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევებში, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ითვლება უმნიშვნელოდ და კონფლიქტის შესახებ გაცხადება საკმარისია მის გადასაწყვეტად.

გ) ნაწილობრივ მონაწილეობა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში: წევრი შეიძლება არ იქნას დაშვებული დღის წესრიგის იმ საკითხის განხილვასა, ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელშიც მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი, მაგრამ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღის წესრიგის გათვალისწინებულ სხვა საკითხებში. წევრს ასევე შესაძლოა არ მიეცეს ხმის მიცემის უფლება აღნიშნულ საკითხზე.

დ) სხდომაზე დასწრების უფლების სრული ჩამორთმევა: წევრს ჩამოერთმევა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დასწრების უფლება, თუ მიიჩნევა რომ წევრს აქვს მნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტი სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ე) თუ თავმჯდომარე იქნება წევრი, რომლის მიმართ წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი, თავმჯდომარის მოადგილე ან ამგვარად დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი, უხელმძღვანელებს განხილვებს განხილვის დასრულებამდე. თავმჯდომარე ვალდებულია დაიცვას მონაწილეობაზე ნებაყოფლობითი უარის (თვითაცილების) პროცედურა.

20. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირთა სახელები, რომლებმაც განაცხადეს ან სხვაგვარად დადგინდა, რომ აქვთ ინტერესი არსებულ ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ასევე მიეთითოს ინტერესის ფორმა, ნებისმიერი მიღებული ზომა იმის დასადგენად არსებობდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება მასზედ, არსებობდა თუ არა ფაქტობრივად ინტერესთა კონფლიქტი.

ბ) იმ პირთა სახელები, რომლებიც ესწრებოდნენ განხილვებს და ხმა მისცეს აღნიშნულ საკითხს, ასევე უნდა მიეთითოს განხილვის შინაარსი, და ჩანაწერი მიცემული ხმების შესახებ აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით.

**V.** სპეციალური პროცედურა ძირითადი მიმღების შერჩევასთან და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო ფუნქციებთან დაკავშირებით

21. წევრებმა უნდა თქვან უარი (თვითაცილება) ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს განხილვებში მონაწილეობაზე, სადაც ხდება ძირითადი მიმღების, ქვე-კონტარქტორის ან სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციების შერჩევა, რომელშიც წევრებს აქვთ ინტერესი.

22. თუ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ან ორივე მათგანი არის იმავე უწყებიდან, საიდანაც არის ძირითადი მიმღები, რომელიმე პირმა ნებაყოფლობით უნდა განაცხადოს უარი (თვითაცილება) ძირითადი მიმღების საქმიანობის შესახებ განხილვებში მონაწილეობაზე.

23. სხვა წევრთა გადაწყვეტილებით, წევრი შეიძლება მოხმობილ იქნას და დარჩეს განხილვაზე, ზემოთ, სექცია 19-ში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

24. იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც თავმჯდომარე ასევე მისი მოადგილე იქნება ვალდებული განაცხადოს უარი (თვითაცილება) განხილვაში მონაწილეობაზე, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ უნდა დანიშნოს ნებისმიერი პირი თავიანთი რიგებიდან, რომელიც უხელმძღვანელებს განხილვებს.

**VII.** ინტერესთა კონფლიქტის გამოუცხადებლობა

25. თუ თავმჯდომარეს აქვს გონივრული საფუძველი ჩათვალოს, რომ წევრმა არ განაცხადა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, თავმჯდომარე ვალდებულია შესაბამის პირს აცნობოს ამის შესახებ და მისცეს პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

26. თუ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრს აქვს გონივრული საფუძველი ჩათვალოს, რომ წევრმა არ განაცხადა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ შემდეგ უნდა აცნობოს შესაბამის პირს და მისცეს პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

27. თუ პასუხის მოსმენის და სხვა გამოკვლევების ან სათანადო გამოკითხვების შემდეგ, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო დაადგენს, რომ არ მოხდა ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ გაცხადება, თავმჯდომარემ უნდა დაიწყოს დისციპლინარული ზომის მიღება, რომელიც მოიცავს ერთს ან უფრო მეტს ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

ა) აღნიშნული პირის მხრიდან ოფიციალური ბოდიშის მოხდა.

ბ) წევრის უფლებამოსილების შეჩერება, შესაბამისი დისციპლინარულ ზომის შესახებ შემდგომი განხილვის მოლოდინში; ან

გ) წევრის გარიცხვა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოდან.

**VIII.** საჩუქრები ან პრივილეგიები

28. წევრებს არ აქვთ უფლება მიიღონ საჩუქრები ან პრივილეგიები ისეთ გარემოებებში, თუ ითვლება, რომ ასეთი საჩუქარი ან პრივილეგია მოტივირებულია წევრის პოზიციით და ინტერესებით, რომელზეც შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებმა.

29. წევრებს არ აქვთ უფლება გასცენ საჩუქრები ან პრივილეგია, თუ ჩაითვლება, რომ საჩუქრის მიზანია პოლიტიკაზე, გადაწყვეტილებებზე ან ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ან ნებისმიერი სხვა უწყების საქმიანობაზე გავლენის მოხდენა, რომელიც ჩართულია გლობალური ფონდის გრანტებში.

30. გამონაკლისები ამ ნაწილის დებულებებში შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

**IX.** პოლიტიკის გავრცელება და განხილვა

31. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო ვალდებულია წინამდებარე პოლიტიკის ასლი ყოველწლიურად გადასცეს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრს, ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმის ასლთან ერთად (DIF).

32. წინამდებარე პოლიტიკის და ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმის ასლები უნდა განთავსდეს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ვებ-გვერდზე.

33. წინამდებარე პოლიტიკა ყოველწლიურად უნდა განიხილოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ. თავმჯდომარის მეშვეობით, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია დაიწყოს პოლიტიკის განხილვა და შესწორების პროცესი ნებისმიერ დროს, განხილვის დაგეგმილ განრიგამდე.

გლობალური ფონდის გრანტების ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო
ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა
(ივსება ყოველწლიურად)

(გამოყენებულ უნდა იქნას ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ წაიკითხონ ქართულ ენაზე შედგენილი ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა, რომელიც მოცემულია #220 დადგენილებაში).

მე, ________________________________ (სახელი), პირობას ვდებ დავიცვა საქართველო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა.

როგორც ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ალტერნატიული ან სხვა დაინტერესებული მხარე, არ განვიხილავ, მხარს არ დავუჭერ ან ხმას არ მივცემ ისეთ საკითხს, რომელშიც მაქვს ინტერესთა კონფლიქტი, პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი ან ნებისმიერი ინტერესი, რომელიც შესაძლოა დასაბუთებულად წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის კონცეფციასთან გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ვადასტურებ, რომ ინტერესთა კონფლიქტი ან პოტენციური კონფლიქტი წარმოიშვება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ მაქვს პირადი, ფულადი ან სხვა ინტერესი; და/ან

ბ) ორგანიზაციას, რომელსაც მე წარმოვადგენ, შესაძლოა ჰქონდეს ფინანსური, ადმინისტრაციული ან პროგრამული ინტერესი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში განხილვის პროცესში არსებულ გარიგებებში ან საკითხებში.

წინამდებარეთი ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვაცნობიერებ ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას. ვადასტურებ, რომ დავიცავ ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ან პოტენციური კონფლიქტის შესახებ კონკრეტულ საკითხზე, ვაცნობო ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს. ასეთ შემთხვევებში, ნებაყოფლობით განვაცხადებ უარს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს განხილვებში მონაწილეობაზე და ხმის მიცემაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე ვაცნობიერებ, რომ ვალდებული ვარ დავაყენო ინტერესთა კონფლიქტის (რომლის შესახებ შესაძლოა ინფორმირებული ვიყო) საკითხი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრებს ან განმახორციელებელ ორგანიზაციებთან მიმართებაში, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს რეპუტაციის დაცვის, ასევე ამ უკანასკნელის მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვის და საქმიანობის დაბალანსებული და გამჭვირვალე ფორმით წარმოების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოთ მითითებული პრინციპების და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკაში შემდგომში მითითებული პრინციპების დაცვით, ვაცხადებ შემდეგს: *(მონიშნეთ შესაბამისი პუნქტი)*

☐ არ მაქვს არანაირი მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ეხება საქართველოში გლობალური ფონდის გრანტებთან დაკავშირებულ ოპერაციებს და ფუნქციებს.

☐ მაქვს ინტერესთა კონფლიქტი. (გთხოვთ შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.)

ხელმოწერა: ________________________________________

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრის სახელი:
____________________________________________

წარმომადგენლობა: ____________________________________________

თარიღი: ____________________________________________

გთხოვთ შეავსოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, თუ თქვენ ახდენთ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირებას

ინტერესთა კონფლიქტის სახე

| ორგანიზაცია (სახელი და მისამართი) | ორგანიზაციის ტიპი | ინტერესთა კონფლიქტის სახე |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |

საქართველო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო
ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების ფორმა

უნდა შეივსოს ინტერესთა კონფლიქტის მქონე წევრების მიერ მხოლოდ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომამდე ან სხდომის მიმდინარეობისას

| | |
|---|---|
| ტიტული (ბ-ნი./ქ-ნი../დოქ./პროფ. | |
| სახელი | |
| ორგანიზაცია | |
| წარმომადგენელი | |
| გაცხადება | |
| ☐ მაქვს ინტერესთა კონფლიქტი დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:<br>1.<br>2.<br>3.<br>4. | |
| მიუთითეთ ინტერესთა კონფლიქტის დეტალები | |

| |
|---|
| ხელმოწერილია |
| თარიღი |